პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
კვირა
7
დეკემბერი
№ 285
(16411)
ფასი
2 კაპ.
1975

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

KOMUNISTI—

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

წინასაყრილობო ვახშმე

თბილისის სინტეტიკურ ნაჭრების კომბინატში რეალ-ახალგაზრდული ბრიგადის წევრები (მარცხნიდან): რ. ლლონტი, დ. ფარცხანიშვილი, ი. ვახტანგიშვილი, გ. კოპეიკოვი, ხ. ბურტალიუკი და გ. ხავთასი, ამ შრომისმოყვარე ახალგაზრდა ბმა ბუთწლიანი გეგმა ოქტომბერში შეასრულეს და ახლა მომავალი ხუთწლედის პირველი წლის ანგარიშში შრომობენ. ვ. წერკასოვის ფოტო.

ლენინური გზით — კომუნიზმისაკენ

ჩვენი ქვეყანა წარმატებით ამთავრებს მეცხრე ხუთწლედს. კომუნისტები, ყველა შრომელი ემზადებიან საბჭოთა ხალხის ნაცადი ავანგარდის, მის ისტორიულ გამარჯვებათა ხელისჩამდგმელისა და ორგანიზატორის ლენინური პარტიის XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის. საერთო სახალხო-პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა, სოციალისტური შეჯიბრების უფართოესი გაქანება უდიდესი ძალით გამოხატავს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის, სსრ კავშირის ხალხთა მთელი ძმური ოჯახის უსაზღვრო ერთგულებას კომუნიზმის იდეებისადმი, მათს ურღვევ შეკავშირებას მშობლიური პარტიის გარშემო, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის ერთსულოვან მხარდაჭერას.

პარტიისა და ხალხის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები ამ ისტორიულ მიჯნაზე ამას წინათ განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს IV სესიამ.

პლენუმმა მოისმინა ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამბ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება სკკპ მორიგი XXV ყრილობის საკითხებზე. დამტკიცდა ყრილობის შემდეგი დღის წესრიგი:

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში — მომხსენებელი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამბ. ლ. ი. ბრეჟნევი.

2. სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში — მომხსენებელი სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამბ. გ. თ. სიხოვი.

3. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებები — მომხსენებელი სსრ კავშირის ministrთა საბჭოს თავმჯდომარე ამბ. ა. ნ. კოსიგინი.

4. პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნები.

პლენუმმა დაადგინა სკკპ XXV ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმა — ერთი დელეგატი პარტიის 3.000 წევრისაგან, ავრეთვე სკკპ წესდების შესაბამისად განსაზღვრა ყრილობის დელეგატთა არჩევის წესი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა და ძირითადად მოიწონა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები და შეიტანა ისინი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის განსახილველად.

პლენუმზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. ის ყოველმხრივ და ღრმად გააანალიზა მეცხრე ხუთწლედში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი შედეგები. ჩამოაყალიბა პარტიის სოციალურ-ეკონომიური საქმიანობის უნიშვნელოვანესი ამოცანები. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის ძირითადსა და დასკვნებს, რომლებსაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი მშენებლობისათვის, საბჭოთა საზოგადოების მთელი სოციალურ-ეკონომიური განვითარებისათვის.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ ჩვენი სახალხო-სამეურნეო გეგმები შეესაბამება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მუდმივ კურსს. 1976 წლის გეგმა უზრუნველყოფს ეკონომიკის ყველა დარგის მყარ გაკეთებას, ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის განუხრელ ზრდას, მის თავდაცვისუნარიანობას, ითვალისწინებს ხალხის ცხოვრების დონის თანამიმდევრულ ამაღლებას. 1976 წელს სსრ კავშირის ეროვნული შემოსავალი 5,4 პროცენტით გაიზრდება და 362 მილიარდ მანეთს შეადგენს. კაპიტალური დაბანდებები 5,1 პროცენტით გაიზრდება და 102,5 მილიარდ მანეთს შეადგენს. გეგმაში მთავარი ყურადღება ექცევა მანქანათმშენებლობის, მეტალურგიის, სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის, ქიმიური, მსუბუქი და კვების მრეწველობის დაჩქარებულ ზრდას, დასახულია სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ახალი ღონისძიებები.

პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა დარაზმონ შრომითი ენერგია. თვეებისა და კვარტალების დაჯალებების, მთლიანად ეკონომიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, მუშაობის არა მარტო ოდენობრივი, არამედ აგრეთვე ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის, მხარი დაუჭირონ შეკიბრების მონაწილეთა ნაყოფიერ ინიციატივას — შემხვედრი გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების მიღებას.

დასახასიათა რა ხუთწლედის შედეგები, ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა. „მთავარი ის არის, — და ამას დამაჯერებლად ცხადყოფს თვით ცხოვრება, რომ ეკონომიკური განვითარების ძირითადი ამოცანები, რომელიც ხუთწლედში მთლიანად შეასრულებენ და ხასიათი მეცხრე ხუთწლედში მთლიანად შეიცვალა. ჩვენ ეს ამბავი ეკონომიკური პოლიტიკის პრინციპად დებულებებს. ჩვენ წინ გადავდგით დიდი ნაბიჯი. ეს ნიშნავს, ჩვენ ეკონომიკური ზრდის ინტენსიური ფორმებზე გადავედით. ეს ნიშნავს, ჩვენ ეკონომიკაში ეფექტიანობის ამაღლებას,

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 10 ნოემბრის დადგენილება „გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში სტანდარტების როლის ამაღლების შესახებ“.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სამინისტროებმა და უწყებებმა, სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტმა, პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, სამრეწველო გაერთიანებებმა და საწარმოებმა, სამეცნიერო-კვლევითმა და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებმა, რომლებიც აბრუნებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების მოთხოვნათა უთუო შესრულებისათვის, მთელი ძალ-ღონე მოახმარონ უწინარეს ყოვლისა უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო პროდუქციის სახელმწიფო, კომპლექსურ სტანდარტიზაციას, უკეთ გამოიყენონ სტანდარტები ნაკეთობათა ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მანქანების, ხელსაწყოებისა და მოწყობილობის დარგობრივი და დარგთშორისი უნიფიკაციის დონის ამაღლებისათვის. სრულყონ პროდუქციის ხარისხის მიხედვით გაერთიანებებისა და საწარმოების მუშაობის შეფასების სისტემა.

სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს დაევალათ გაუმჯობესონ მეთაური და სამაზო ორგანიზაციების მუშაობა სტანდარტიზაციის დარგში, მიაღწიონ იმას, რომ სტანდარტებსა და ტექნიკურ პირობებში მაქსიმალურად იყოს გამოყენებული პროდუქციის ხარისხის პროგრესული მაჩვენებლები, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო ნაშრომების შედეგები, გამოგონებები და აღმოჩენები; წარმოებისა და მართვის ყველა რგოლში გაზარდონ პასუხისმგებლობა სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დროულად დანერგვისათვის, მათი მოთხოვნების უთუო შესრულებისათვის; გაუმჯობესონ ტექნიკური კონტროლის განყოფილებათა მუშაობა, განამტკიცონ ნება გამოცდილი კადრებით, აღჭურვონ პროდუქციის ხარისხის კონტროლის თანამედროვე საშუალებებით.

სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტს მიეცა წინადადება აამაღლოს სტანდარტიზაციის სამუშაოთა მეცნიერული და ტექნიკური დონე, არ დაუშვას ისეთი სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დამტკიცება, რომლებსაც დაბალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები აქვთ, შეამციროს ახალი სტანდარტების შექმნის ვადები; გააძლიეროს სახელმწიფო ზედამხედველობა სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების მოთხოვნათა შესრულებისადმი როგორც სამრეწველო საკეთობათა შექმნის, ისე მათი ექსპლოატაციის პერიოდში, სახალხო მოხმარების საქონლისა და კვების პროდუქტების წარმოების დროს; უკეთ უზრუნველყოს სახალხო მეურნეობა ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციით, რომელიც დაკავშირებულია პროდუქციის სტანდარტიზაციის, უნიფიკაციისა და ატესტაციის სამუშაოებთან.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტს, რომ სტანდარტიზაციის გეგმები დაუქვემდებარონ მთავარი სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტას, დაუკავშირონ მეცნიერების, ტექნიკის განვითარების უმნიშვნელოვანეს პრობლემებსა და ახალი პროდუქციის წარმოებას, მიაღწიონ იმ პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხის ნამდვილად მაღალ მაჩვენებლებს, რომლებსაც ენიჭებათ ხარისხის სახელმწიფო ნიშანი. ინსტიტუტებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეისწავლონ ხარისხის ატესტაციის, მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის მატერიალური სტიმულირების, საწარმოთა და გაერთიანებათა ტექნიკური კონტროლის განყოფილებების, ხარისხის უწყებრივი ინსპექციების მუშაობის პრაქტიკა და საჭირო დასკვნები და ცვლილებანი შეიტანონ ამ საკითხებზე არსებულ დებულებებსა და ინსტრუქციებში.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს მიეცათ რეკომენდაცია გაანხილონ საკითხი, თუ როგორ ნერგავენ და იცავენ სტანდარტებსა და ტექნიკურ პირობებს საწარმოებში, გაერთიანებებში, საკონსტრუქტორო და საპროექტო ორგანიზაციებში; გააძლიერონ პროდუქციის ტექნიკური დონის ამაღლებისა და ხარისხის გაუმჯობესების საკითხებზე პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლი, აქტიურად შეუწყონ ხელი სტანდარტიზაციის შემდგომ განვითარებას, საწარმოთა და გაერთიანებათა კოლექტივებში განმტკიცონ სტანდარტიზაციის, როგორც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი ბერკეტის მნიშვნელობა; აღზარდონ მშრომელები სტანდარტების, ტექნიკური პირობებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა შესრულებისათვის, საწარმოებში ტექნოლოგიური და საწარმოო დისციპლინის ზუსტად დაცვისათვის დიდი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

სახელმწიფო წესრიგი დავამყარ[illegible] მომსახურების სფეროში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელზეც განიხილეს ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა სრულ უმწეობას ირჩენენ ესოდენ შეუწყნარებელი, სამარცხვინო მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში, დაუდევრად ეკიდებიან სამედიცინო მომსახურების საჭირბოროტო პრობლემებს. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში დღემდე არა აქვთ აღნიშნულ ნაკლოვანებათა და დიდ ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ ბრძოლის ზუსტი გეგმა, არ შეუმუშავებიათ არავითარი პრინციპული პოზიცია ამ ბრძოლაში.

მომსახურების სფეროს ხელმძღვანელებს უფლება არა აქვთ, ითქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე, ყურად არ იღონ კომუნისტების ხმა, საზოგადოებრივი აზრი. შეურიგდნენ უმსგავსობას, არ მოსთხოვონ ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების ყველა მუშაკს პრინციპული, გამბედული, მტკიცე, მოზადასახული და თანამიმდევრული ბრძოლა ნეგატიური მოვლენების, წამგლეჯების წინააღმდეგ, რომლებიც მშრომელებისა და სახელმწიფოს ჯიბეში ათასურებენ ხელს.

თათბირის მონაწილენი ვერ დააკმაყოფილა ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და ჯანმრთელობის დაცვის ზოგიერთი ხელმძღვანელის გამოსვლამ. მთელ რიგ გამოსვლებში არ ეგრძნობოდა, რომ ამხანაგები ფიქრობენ ამაზე. თუ როგორ ებრძოლონ ნეგატიურ მოვლენებს უფრო ეფექტიანად, როგორ მიაღწიონ საგრძნობ წარმატებებს ამ ბრძოლაში.

მტკიცედ ითქვა, რომ არათუ უნდა განვაგრძოთ, არამედ ყოველნაირად უნდა გავაძლიეროთ, გავიფართოოთ თანამიმდევრული და პრინციპული ბრძოლა ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ჯერ კიდევ ხელს უშლის მომსახურების სფეროში მტკიცე სახელმწიფო წესრიგის დამყარებას.

ნეგატიურ მოვლენებს ბრძოლა რომ გამოეცხადოთ, აღინიშნა თათბირზე, ხალხმა ირწმუნა, რომ ბოლომდე მივიყვანდით ამ ბრძოლას. კომუნისტები უნდა უფრთხილდებოდნენ ხალხის ნდობას, გაამართლონ იგი, ლეგიკურ ბოლომდე მიიყვანონ დაწყებული საქმე. უწინარეს ყოვლისა, სათანადო დასკვნა უნდა გამოვიტანოთ ყველა ამ კრიტიკული შენიშვნიდან და პრეტენზიიდან, რომელიც ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ჯანმრთელობის დაცვის მუშაკების მიმართ გამოითქვა საანგარიშო-საარჩევნო კრებებსა და პარტიულ კონფერენციებზე, შეკითხულთათ აღნიშნული ნაკლოვანებების, დარღვევების, ბოროტმოქმედების აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებები. ბრძოლა უნდა ძლიერდებოდეს, სანამ მიღწეული არ იქნება გადამწყვეტი შედეგები. ვერაკაი ვერ გაგვიგებს, ვერავინ ვერ გვაპატიებს, თუ ეს არ გაკეთდა.

თათბირზე ისიც ითქვა, თუ ჯერ კიდევ რა სიძნელეები და სირთულეებია ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრის საქმეში, მათ წინააღმდეგ მტკიცე ბრძოლისათვის მომსახურების სფეროს ხელმძღვანელთა დარაზმვაში, ეფექტიან, დიდი ყურადღება დაეთმო იმას, რომ კარდინალურად გადაიჭრას ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა, საკონტროლო-სარევიზიო აპარატების თანამშრომელთა სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პრობლემა. მათ უნდა ვასწავლოთ, თუ როგორ გამოავლინონ დროულად ესა თუ ის ბოროტმოქმედება, როგორ აიცილონ თავიდან სოციალისტური საკუთრების განიავება და დაცვა, საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევა.

ბოროტმოქმედებისა და დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლა ერის იმის გამო, აღინიშნა თათბირზე, რომ მომსახურების სფეროს მუშაკებს ყოველდღიურად და ყოველ წუთს მატერიალური ფასეულობასთან, ფულთან აქვთ საქმე, უკონტროლობის, უყაირათობის, ანგარიშსა და ზომა-წონაში მოტყუების, გამოძალვის ფაქტებისადმი ლიბერალური დამოკიდებულების პირობებში იქმნება ვითარება, რომელიც ხელს უწყობს მყიდველთა, შემკვეთთა, პაციენტთა ხარჯზე უპატიოსნო პირების მომხვეჭელობას, ჯიბის განებელთა მოსალოცად მოვიდნენ გალისა და ზუგდიდის რაიონების ახლომდებარე სოფლების მშრომელები. მუშათა დღესასწაულზე ჩამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. საყვარელიძე, პარტიის ზუგდიდისა და გალის რაიკომების მდივნები ი. თოდუა და ბ. გულუა, ენგურჰესის პროექტის მთავარი ინჟინერი ა. მენაბდე.

მიტინგი გახსნა საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. კვარაცხელიამ. მან მიულოცა მშენებლებს საწარმოო გამარჯვება და ილაპარაკა იმ ენთუზიაზმზე, სულელებსა და გამდიდრებას. სწორედ ამიტომ გულმოდგინედ უნდა მოვიფიქროთ და შევამუშაოთ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამა, ადამიანებთან იდეოლოგიური და აღმზრდელობითი მუშაობის საგანგებო პროგრამა, რომელიც გათვალისწინებული იქნება მომსახურების სფეროში კონკრეტულად შექმნილი გითარებისათვის.

ამავე დროს, აღინიშნა თათბირზე, თვითმმართველობის სფეროს სამინისტროებსა და უწყებებში დღემდე არა აქვთ მეცნიერულ საფუძველზე ყოველმხრივ დამუშავებული აღმზრდელობითი და პროფილაქტიკური მუშაობის გეგმა, არ შეუსწავლიათ, არ განუზოგადებიათ და ვრ გაუვრცელებიათ ჩვენი ქვეყნის სხვა რესპუბლიკების მიერ ამ დარგში შეძენილი დადებითი გამოცდილება.

დიდი ხანია დრო დადგა შეეგნოთ, რომ არ კმარა საშუალოდან გავათავისუფლოთ ან მოვხსნათ ესა თუ ის დამნაშავე პირი. ეს ღონისძიებები სათანადო ნაყოფს ვერ გამოიღებს, თუ თან არ სდევს საერთო გამიზნული ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, თუ არ გამოვაშკარავეთ მათი ფესვები, თუ ბოლომდე არ ავყვეთით სათავეებს, სადაც იბადება და საიდანაც მოდის ეს დარღვევები და ბოროტმოქმედებები.

ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში ერთ-ერთ უმთავრეს ხარვეზად ის უნდა მივიჩნიოთ, რომ მომსახურების სფეროს სამინისტროებსა და უწყებებში შექმნილი არ არის ნაკლოვანებებისადმი შეუწყნარებლობის ვითარება. მათ წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც წესი, მონაწილეობენ მხოლოდ ერთეულები, სხვები კი განზე დგანან და რაღაცას ელოდებიან.

თუ არა სამინისტროებსა და უწყებებში, სხვაგან სად უნდა უხლომლეველონ ყოველდღიურად ბოროტების კონკრეტული ჩამდენები — მომსახურების სფეროში მოკალათებული თაღლითებისა და გარეწრების წინააღმდეგ ბრძოლას. სწორედ აქედან უნდა წარიმართოს ყოველდღიური მუშაობა კადრებთან, სწორედ აქ უნდა ხორციელდებოდეს დროულად როგორც აღმზრდელობითი, ისე დისციპლინური ხასიათის ეფექტიანი ღონისძიებები.

თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ უნდა ავამაღლოთ ხელმძღვანელი მუშაკების პერსონალური პასუხისმგებლობა, დავაკონკრეტოთ იგი. მინისტრი, მისი მოადგილეები, კოლეგიის თავთეული წევრი, განყოფილების უფროსი პერიოდულად უნდა ამარქვნენ ანგარიშს, თუ რა გაკეთეს პირადად დარღვევებისა და ბოროტმოქმედებების აღსაკვეთად.

თათბირზე ითქვა, რომ შეუწყნარებელია ისეთი მდგომარეობა, როცა ზოგიერთ ხელმძღვანელს არ შეუძლია ან არ სურს ყოველნაირად გაამეოროს მომსახურების სფეროში მტკიცე სახელმწიფო წესრიგის დამყარებისათვის, ბოროტმოქმედების აღმოფხვრისათვის ბრძოლა და რაღაც შეღავათებისა და კომპრომისების იმედი აქვს ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში.

თათბირზე მტკიცედ ითქვა, რომ რაგინდ დიდი სიძნელენი იყოს მომსახურების სფეროს ჯანსაღებისათვის ბრძოლაში, არ შეიძლება უკან დახევა. შემრიგებელური დამოკიდებულება ნეგატიური მოვლენებისადმი, შუა გზაზე გაჩერება. არავის არა აქვს უფლება შეამციროს ამ ბრძოლის მასშტაბი, გაქანება, მგზნებარება და სიმწვავე.

ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და ჯანმრთელობის დაცვის ხელმძღვანელები, ყველა მუშაკი გაიფრთხილეს — არასოდეს არ დაკანონდება, არავის არ ეპატიება, არაერთარი ბალორთლება არ ექნება და არავინ მხარს არ დაუჭერს სახელმწიფო წესრიგის რაიმე დარღვევას. ვერავინ ვერ მოესწრება შეღავათებს, კანონიდან გადახრებს, რაც უნდა „სპეციფიკური პირობებით“ ინიღბებოდნენ, რაც უნდა „ობიექტური“ მიზეზებით ცდილობდნენ გამართლებას.

თუ საჭირო გახდა, ითქვა თათბირზე, პოსტებიდან გადაეყენებენ ყოველგვარი რანგის ხელმძღვანელებს. კომუნისტები ერთი გზით ვერ ივლიან არა მარტო იმათთან, ვინც არღვევს სოციალისტურ ნორმებსა და ზომა-წონაში მოტყუებას, ვინც თაღლითობს, წამგლეჯობს, არამედ იმათთან, ვინც ნებით თუ უნებლიეთ ბრალეულობს მათ, არ თიკლობს ბრძოლას ამ კომპრომისს ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში, ვინც მთელ ძალ-ღონეს, მთელ ენერგიას მთელ ცოდნასა და გამოცდილებას არ იხმარს ამ ბრძოლაში, მართლიანი საქმისათვის მებრძოლის ბოლშევიკურ ტემპერამენტს არ იჩენს.

მყიდველთა და შემკვეთთა ინტერესსა და ზომა-წონაში მოტყუება, ავადმყოფებისაგან გამომძალვა, ოპერაციისათვის ფულის აღება — ყველა ეს ფაქტი მოვლენებად უნდა მივიჩნიოთ, რომლებიც დიდ ზიანს აყენებს ჩვენს საქმეს და პროპაგანდირებულ პოლიტიკურ მნიშვნელობა აქვს.

თათბირზე ბევრი რამ ითქვა ბეთუმი სავაჭრო ბაზებში ესა თუ ის ფაქტის დარღვევებისა და ბოროტმოქმედების თაობაზე. ხშირად საჭიროს „ნაცნობობით“, „ინტიქციით“, „ნაღდ ანგარიშით“ ძალევიან. თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სავაჭრო ბაზებში ხელმძღვანელებს უნდა [illegible] თხოვოთ განუხრელად დაიცვან [illegible] ბეთუმი ვაჭრობის წესები, [illegible] თხოთ ამ წესების თვითეული [illegible] რღვევისათვის, რადგან ეს [illegible] სახურავრბილი მდგომარეობა [illegible] როტად გამოყენება, დანაშაული [illegible] ბრივი თაღლითობაა, რომელ[illegible] ხელს უწყობს ბაზრის ქვეშ [illegible] დეფიციტური საქონლით [illegible] ბას.

თათბირზე მკაცრად გაკიცხ[illegible] „საქმეთა ვარნავთობგასაღების [illegible] მეშუამბა, მის ხელმძღვანელ[illegible] არაფრად მიიჩნიათ ის, რომ [illegible] თქმის სრულიად არ წარმ[illegible] ბრძოლა ანგარიშსა და ზომა-[illegible] ნაში მოტყუების ფაქტების [illegible] ნაარმდეგ, რომლებსაც მასთან [illegible] ვი ხასიათი აქვს.

თათბირზე აღინიშნა, რომ [illegible] ვალა წლის მანძილზე სა[illegible] არ იყენებდნენ მომსახურ[illegible] სფეროს მართვის საშუალებებ[illegible] და მეთოდების ძირეული [illegible] ყოფის ყველა შესაძლებლ[illegible] მომსახურების სფეროს სამ[illegible] ტროთა და უწყებათა, ორგ[illegible] ზაციათა და დაწესებულებ[illegible] მართვის სტრუქტურა, რომ[illegible] თავის დროზე თვითნებურად [illegible] ქმნა თანამედროვე მოთხოვ[illegible] გაუფთავლისწინებლად, ნორ[illegible] არ შეცვლილა.

ნეგატიური მოვლენების წ[illegible] აღმოფხვრა ბრძოლაში, ბაზ[illegible] აღინიშნა თათბირზე, დიდი [illegible] შენელობა ენიჭება პრესას, [illegible] ოს, ტელევიზიას.

თათბირზე ითქვა, რომ ამ [illegible] ლო ხანს გამოქვეყნდა მთელი [illegible] გი მწვავე, საჭირბოროტო, [illegible] არსიანი მასალები, რომ[illegible] მიზნად ისახავს მშრომელთა [illegible] მსახურების სფეროს გაჯანსაღ[illegible] ბას.

მაგრამ პრესამ, რადიომ და [illegible] ლევიზიამ ბევრად მეტი წვლ[illegible] უნდა შეიტანონ ვაჭრობის, [illegible] ფაცხოვრებო მომსახურების, [illegible] მრთელობის დაცვისა და მომ[illegible] ხურების სხვა დარგების ნაკ[illegible] ვანების, დარღვევებისა და [illegible] როტმოქმედების წინააღმდეგ [illegible] ერთო-სახალხო ბრძოლაში. [illegible] ვანთი შეუპოვრობით, შემტ[illegible] სულისკვეთებით ყველა ჯან[illegible] უნარიანი გამოყენებით პრ[illegible] რადიომ და ტელევიზიამ [illegible] ბრძოლა მწვავე და გამიზნულ[illegible] შეურიგებელი და თანამიმდევ[illegible] ლი უნდა გახადონ.

თათბირზე აღინიშნა, რომ [illegible] რთველოს კომპარტიის [illegible] ყრილობისათვის მთელი მშა[illegible] პარადიულობის, ხმაურის, [illegible] ნამდვილის შელამაზების ეთ[illegible] ბაში კი არ უნდა მიმდინარ[illegible] დეს, არამედ ნაკლოვანებებ[illegible] ხარვეზების, დარღვევებისა [illegible] ბოროტმოქმედების წინააღმ[illegible] ბრძოლის გაძლიერების საქ[illegible] პარტიულ ვითარებაში.

თათბირზე გამოითქვა ბრ[illegible] რომ ვაჭრობის, საყოფაცხოვრ[illegible] მომსახურების, ჯანმრთელ[illegible] დაცვის მუშაკები, რესპუბლ[illegible] პარტიული ორგანიზაციები [illegible] ლობისათვის მზადებას ყველ[illegible] ყოველკვარი ნეგატიური მოვ[illegible] ნების წინააღმდეგ, მომსახურ[illegible] სფეროში მტკიცე სახელმწ[illegible] წესრიგის დამყარებისათვის [illegible] ლის გაძლიერებით აღნიშნავენ.

(საქინფორმი)

ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს, ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი ეროვნული კრების თავმჯდომარეს ამხანაგ სუფანუვონგს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა ხალხის სახელით მხურვალედ გილოცავთ და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებისა და რესპუბლიკის პრეზიდენტისა და უმაღლესი ეროვნული კრების თავმჯდომარის დიდ პოსტებზე თქვენი არჩევის გამო.

საბჭოთა ხალხი დიდი კმაყოფილებით მოესალმება დიდმნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენას მეკობარი ლაოსელი ხალხის ცხოვრებაში, რომელმაც ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ხელმძღვანელობით იმპერიალისტური აგრესიისა და ადგილობრივი რეაქციის წინააღმდეგ, დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის ხანგრძლივ და თავდადებულ ბრძოლაში ახალი ტანდარტიზაციის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი და განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი „გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში სტანდარტების როლის ამაღლების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების მოთხოვნათა უთუო შესრულებისათვის, მთელი ძალ-ღონე მოახმარონ უწინარეს ყოვლისა უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო პროდუქციის სახელმწიფო, კომპლექსურ სტანდარტიზაციას, უკეთ გამოიყენონ სტანდარტები ნაკეთობათა ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მანქანების, ხელსაწყოებისა და მოწყობილობის დარგობრივი და დარგთშორისი უნიფიკაციის დონის ამაღლებისათვის. სრულყონ პროდუქციის ხარისხის მიხედვით გაერთიანებებისა და საწარმოების მუშაობის შეფასების სისტემა.

სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს დაევალათ გაუმჯობესონ მეთაური და სამაზო ორგანიზაციების მუშაობა სტანდარტიზაციის დარგში, მიაღწიონ იმას, რომ სტანდარტებსა და ტექნიკურ პირობებში მაქსიმალურად იყოს გამოყენებული პროდუქციის ხარისხის პროგრესული მაჩვენებლები, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო ნაშრომების შედეგები, გამოგონებები და აღმოჩენები; წარმოებისა და მართვის ყველა რგოლში გაზარდონ პასუხისმგებლობა სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დროულად დანერგვისათვის, მათი მოთხოვნების უთუო შესრულებისათვის; გაუმჯობესონ ტექნიკური კონტროლის განყოფილებათა მუშაობა, განამტკიცონ ნება გამოცდილი კადრებით, აღჭურვონ პროდუქციის ხარისხის კონტროლის თანამედროვე საშუალებებით.

სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტი სრულად ვერ ასრულებს თავის მაორგანიზებელ როლს სტანდარტიზაციის დაგეგმვასა და სრულყოფაში, პროდუქციის ხარისხის მართვაში, არ იჩენს სათანადო პრინციპულობას სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დანერგვასა და დაცვაში, დაუსაბუთებლად აძლევს ნებას სამინისტროებს, რომ გადაატანონ სტანდარტების დანერგვის ვადები, დაუშვან მათი მოთხოვნების დარღვევა.

ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია სათანადოდ არ სთხოვს სამეურნეო ხელმძღვანელებს, რომ უზრუნველყონ მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოება, კოლექტივებში არ ეწევიან თანაშემდგომელ და ეფექტიან აღმზრდელობითს მუშაობას იმისათვის, რომ დაიცვან სტანდარტები და ტექნიკური პირობები, მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ თავიანთი შრომის შედეგებს, სათანადო ყურადღებას არ უთმობს ნაკეთობათა ხარისხის გაუმჯობესებაში სტანდარტების როლის ამაღლებას.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტს აღმოუხვრან

ეროვნული დღესასწაულის გამო

ფინეთის ეროვნული დღესასწაულის — დამოუკიდებლობის დღის გამო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა ფინეთის პრემიერ-მინისტრს მარტა მიეტუნენს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც საბჭოთა მთავრობის სახელით და პირადად გულითადად ულოცავს დღესასწაულს. დეპეშაში გამოთქმულია რწმენა, რომ საბჭოთა კავშირი და ფინეთი, რომლებიც ხელმძღვანელობენ მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების 1948 წლის ხელშეკრულების დებულებებით, კვლავაც განუხრელად ივლიან კეთილმეზობლობის გზით. (საკდესი).

ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრს ამხანაგ კეისონ ფომვიჰანს

საბჭოთა მთავრობის სახელით და პირადად მხურვალედ მოგილოცავთ ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრის დიდ პოსტზე დანიშვნას და მეგობრულად გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს.

ლაოსის ეროვნულ-განმათავისუფლებელი და რევოლუციური მოძრაობის წინამძღოლი ძალის — სახალხო-რევოლუციური პარტიის ხელმძღვანელობით თავისუფლებისმოყვარე ლაოსელმა ხალხმა ახალი თვალსაჩინო გამარჯვებები მოიპოვა და დაიცვა წმიდათაწმიდა უფლება თვითონვე გადაწყვიტოს თავისი ბედ-იღბალი. დაადგეს მშვიდობიანი დემოკრატიული განვითარებისა და სოციალური პროგრესის გზას. ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადება ეროვნულ-დემოკრატიული რევოლუციის თვალსაჩინო მიღწევა, ლაოსელი ხალხის ცხოვრების ისტორიული მოვლენაა.

გისურვებთ თქვენ, ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, ლაოსელ ხალხს შემდგომ წარმატებებს ქვეყნის მშვიდობიანი და დამოუკიდებელი განვითარების, ეროვნული ეკონომიკის აღდგენისა და აღორძინების, ახალი, ბედნიერი ცხოვრების მშენებლობის გზაზე.

დაე მეკობრეობდეს და ვითანამშრომლოს ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების ტრადიციული მეგობრობა და თანამშრომლობა.

ა. კოსიგინი.

ენგური კალაპოტს იცვლის

მიტინგი ენგურჰესის მშენებლობაზე



ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ, რომ ვადამდე დავამთავროთ ერის-წყალში ენგურის გადაგდების კომპლექსის მშენებლობა და ეს იქნება ჩვენი მუშური საჩუქარი პარტიის ყრილობისათვის, — თქვა ამას წინათ დიდი ენგურის მშენებლობის კომუნისტთა პარტიულ კონფერენციაზე გვირაბამაყენთა წარჩინებულმა ბრიგადირმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ეკა ბესაძემ, და დარბაზში მოწონების შეძახილები გაისმა. გუშინ კი ამ რთული ჰიდროტექნიკური ნაგებობის ტრასის გაყოლებით შეკრებილ ადამიანთა შეძახილებმა გვაუწყა, რომ ენგური დაიძრა გალის წყალსაცავის შიმართულებით, რომ საქართველოს ენერგეტიკის გიგანტის მშენებლები მტკიცედ ასრულებენ სიტყვას. მზ-დ არის „გადაგდება“ — ასე უწოდებენ ამ ჰიდროტექნიკურ კომპლექსს, რომელიც უზრუნველყოფს გვირაბებისა და არხის გავლით ენგურის წყლის ნაწილის მეზობელი მთის მდინარის — ერისწყლის კალაპოტში. გადაგდების, რეკორდულად მოკლე ვადაში შესრულდა ამუშავების გრაფიკი. ჯერ კიდევ 30 ნოემბერს ჰიდროტექნიკური კომპლექსის მთელ ტრასაზე ეტაპობრივად შეამოწმეს მექანიზმები, ავტომატიკა, ხელმოწერილია ყველა საჭირო დოკუმენტი. დიდი შეფასებით მიიღო ობიექტი სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს სახელმწიფო მმდლებმა კომისიამ. ენგურის წყალს გზა კიეხსნა ქვემო ჰიდროკვანძის წყალსაცავისაკენ, სადაც ეს უკვე ოთხი წელია წყლის სამცირის პირობებში მუშაობს ენგურის ასკადის ოთხი ვარდნილი ჰიდროელექტროსადგური.

ითქვა, რომ მომსახურების სფეროში გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებები, აღინიშნა, რომ ეგი ვერ ასრულებს თავის წინაშე დასახულ ამოცანებს.

ბევრ ქალაქსა და რაიონში ჯერჯერობით მომსახურების სფეროს გაჯანსაღების პრობლემის თაობაზე უფრო მეტია ლაპარაკი, დაპირება, მოწოდება და ვალდებულებები, ვიდრე ამ სფეროში სახელმწიფო წესრიგის დამყარების კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე, დიდად შეშფოთებულია ასეთი მდგომარეობით და მიაჩნია, რომ კომუნისტთა შეფასება სწორად ასახავს მომსახურების სფეროში შექმნილ საქმის ვითარებას.

სავსებით გასაგებია იმ ადამიანთა აღშფოთება, რომლებსაც არ სურთ დასჯერდნენ დაპირებებსა და ფუჭ ლაპარაკს. მათ სურთ მომსახურების სფეროს ხელმძღვანელობდნენ ადამიანები, რომლებიც შეასრულებენ თავიანთ დაპირებებს, იქნებიან ნამდვილი მებრძოლნი ყველასათვის ცხონალი უმგავსობის აღკვეთისათვის.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ დავინახოთ, არ შევნიშნოთ, არ დავაფასოთ პირველი ნაბიჯები, რომლებიც გადადგა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება განსახორციელებლად დაწყებული მუშაობის გზაზე.

შეიცვალა ამ სამინისტროებისა და უწყებების ბევრი ხელმძღვანელი, რომლებიც განაგებენ სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურებას. მომსახურების სფეროში ამაღლდა ვაჭრობის სამმართველოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს უფროსი ზ. მ. გოლაური, რესპუბლიკური ბაზის „საქსამეურნეოვაჭრობის“ მმართველი ი. ნ. ტაკაძე, რესპუბლიკური ბაზის „საქტანსაცმელვაჭრობის“ მმართველი ლ. ა. ჩიქვანაია, რესპუბლიკური ბაზის „საქმთავარგალანტერეის“ მმართველი გ. ა. გურგენიძე, „თბილისმოსტანვაჭრობის“ დირექტორი ჯ. კ. ქურაძე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგრარულ-სამრეწველო-საფეიქრო გაერთიანების მმართველი ა. ი. მგელაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი გ. დ. გაბუნია, საქსლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მთავარი სამმართველოს უფროსი მ. ა. ნარიმანაშვილი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი საიფთიაქო სამმართველოს უფროსი გ. მ. ხანთაძე, რომლებმაც წარმოადგინეს ინფორმაციები.

თათბირზე საუბარი წარმოთქვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა ზ. ა. პატარაძემ და ვ. მ. სიხარაძ

პოლიტიკური დღის

გამოხმაურება

საბჭოეთის მტკიცე ნაბიჯი

საზღვარგარეთის პრესა ფართოდ აშუქებს სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიას. სოციალისტური ქვეყნები განსაკუთრებით აღნიშნავენ, რომ სესია მიმდინარეობდა სკკპ XXV ყრილობის წინ, რომ სსრ კავშირის ეკონომიკური პოტენციალის ინტენსიური ზრდის, საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლების დიდებული პროგრამა, რომელიც პარტიის XXIV ყრილობამ დასახა, წარმატებით ხორციელდება.

დღეს, აღნიშნავს ჩეხოსლოვაკიური „რუდე პრავო“, შეგვიძლია სრულიად საფუძვლიანად ვთქვათ, რომ საბჭოთა კავშირის ხალხებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწიეს სახალხო მეურნეობის სწრაფ, დინამიკურ და სტაბილურ განვითარებას სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების სულისკვეთებით.

„დოკუმენტები, რომლებსაც საბჭოთა პარლამენტის ორივე პალატა იხილავს, მიზნად ისახავენ ქვეყნის შემდგომ თანამიმდევრულ ეკონომიკურ აღმავლობას, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდებას, სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებასა და ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, — აღნიშნავს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო „ნოიეს დოიჩლანდი“.

დეპუტატები ერთსულოვნად უჭერენ მხარს მშვიდობის პოლიტიკას, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ახორციელებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს დაძაბულობის შენელებისა და უშიშროების უზრუნველყოფას, განაგრძობს გზებით. ამასთან იგი წერს, რომ სესიის მოწაწილენი განსაკუთრებით აღნიშნავდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის დიდ პირად წვლილს მშვიდობის პროგრამის წარმატებით განხორციელებაში.

გავლენიანი დასავლეთგერმანული „გენერალ-ანციაგერი“ პირველ გვერდზე ბეჭდავს მოსკოვიდან მიღებულ ინფორმაციას სათაურით: „1976 წლის ბიუჯეტში მოსკოვი იტვირთებს სამხედრო ხარჯების წილს“. გაზეთი აგრეთვე ხაზს უსვამს, გაისად სოციალური და კულტურული მიზნებისათვის განკუთვნილი ხარჯები სსრ კავშირში 4,2 პროცენტით გაიზრდებიო.

ამერიკული „ვაშინგტონ პოსტი“ იტყობინება სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტში სამხედრო ხარჯების ხვედრითი წონის შემცირებას და თავის მხრივ აღნიშნავს, რომ ასეთი შემცირება გაზდა ტენდენცია, რომელიც დამახასიათებელია სსრ კავშირისათვის ბოლო წლებში. (საკდესი).

ახლო აღმოსავლეთის —მტკიცე მშვიდობა

გენერალური ასამბლეის სესიაზე

ნიუ-იორკი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა განიხილავს ახლო აღმოსავლეთის დღგმარეობის განხილვას. დელეგატთა უმრავლესობის გამოსვლები მოწმობენ, რომ ვითარება ახლო აღმოსავლეთში სერიოზულად აღშფოთებს ყველას, ვინც დაინტერესებულია ამ რაიონში მტკიცე მშვიდობის დამყარებით, ახლო აღმოსავლეთის პრობლემის სამართლიანი მოგვარებით.

ახლო აღმოსავლეთის კრიზისი კვლავ სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უსაფრთხოებას, ხაზგასმით აღნიშნა ბულგარეთის წარმომადგენელმა გ. ტოდორეგემ. საფრთხე იქნებოდა გვეფიქრა, რომ ზოგიერთი საფლობრივი ღონისძიებისა და ეტაპობრივი შეიღებად თავიდან ავიცილებთ საომარი მოქმედების ახალ აფეთქებას ამ რაიონში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოვალეობაა მოიფხოიოს ყველა საზავო კონფერენციის ფაფელ დაინტერესებული მხარის, ეერძოდ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მონაწილეობით, განაცხადა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელმა.

პოლონეთის წარმომადგენელი ვ. იაროშეკი მიესალმა საბჭოთა თანამშრომლის წინადადებას ევროპის საზავო კონფერენციის მუშაობის განახლების შესახებ და აღნიშნა, რომ ეს სავსებით შეესაბამება ახლო აღმოსავლეთში მტკიცე და სამართლიანი მოწესრიგების მიღწევის ინტერესებს.

ახლო აღმოსავლეთში ისრაელის განუწყვეტელ აგრესიასთან დაკავშირებით სერიოზული შეშფოთება გამოთქვა გაერთიანებული არაბული საამიროების წარმომადგენელმა ა. ჰუმაიდანმა.

სსრ კავშირის დელეგაციის წარმომადგენელმა რ. ს. ოვინიკოვმა ხაზი გაუსვა, რომ სამართლიანი და მტკიცე მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში შეიძლება მიღწეულ იქნეს იმ პირობით, თუ გადაიჭრება სამი კარდინალური პრობლემა, რომლებიც საფუძვლად უდევს ახლო აღმოსავლეთის კრიზისს: ისრაელის ჯარების გაყვანა 1967 წელს ოკუპირებული ყველა არაბული ტერიტორიიდან, პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი უფლებების, მათ შორის, საკუთარი სახელმწიფოს შექმნის უცილობელი უფლების უზრუნველყოფა, ახლო აღმოსავლეთის ყველა ქვეყნის დამოუკიდებელი არსებობისა და განვითარების უფლების გარანტია.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოწესრიგებაში ნამდვილი პროგრესის მიღწევის მიზანს შეესაბამება ჟენევის საზავო კონფერენციის მუშაობის განახლება, რომელშიც თანაბარი უფლებებით მიიღებენ მონაწილეობას უშუალოდ დაინტერესებული მხარეები, მათ შორის პალესტინის არაბი ხალხის წარმომადგენელი პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის სახით.

ეპიდეზი

ტელეტაიპის ლენტიდან...

● **ლონდონი.** აქ დაიწყო ამერიკის საავტომობილო კორპორაცია „კრაისლერის“ პრეზიდენტის ჯ. რიკარდოსა და დიდი ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენელთა მოლაპარაკების მესამე რაუნდი. მოლაპარაკების ძირითად საკითხად კვლავ რჩება ინგლისში „კორპორაციის ფილიალის მდგომარეობა. პროდუქციაზე მოთხოვნის დაქვეითებისა და მასთან დაკავშირებით წარმოების შემცირების შედეგად ფილიალი ახლა ლამის დაიხუროს.

● **ბოკიო.** იაპონიის მანქანათმშენებლობის პროდუქციაზე ოქტომბერში შეკვეთები შემცირდა 64,3 პროცენტით წინა თვესთან შედარებით და 30,8 პროცენტით გასული წლის ოქტომბერთან შედარებით. იაპონიის სამრეწველო მანქანათმშენებლობის ასოციაცია, რომელმაც გამოაქვეყნა ეს მონაცემები, აღნიშნავს, რომ არავითარი ნიშანწყალი არ არის უახლოეს მომავალში ინდუსტრიის ამ დარგის გამოცოცხლებისა.

● **კოლომბო.** აქ გაიმართა ლანკის საზოგადოებრიობის საპროტესტო მასობრივი მიტინგი იმის წინააღმდეგ, რომ ინდოეთის ოკეანეში განლაგებულია იმპერიალისტური სამხედრო ბაზები.

იმპერიალიზმმა, რომელიც ანგარებითს მიზნებს ისაწავს, ინდოეთის ოკეანეში შექმნა სამხედრო ბაზების მთელი სერია. ამათგან ყველაზე საშიშია ბაზა, რომელსაც დიეგო-გარსიის კუნძულზე აშენებს ამერიკის შეერთებული შტატები, განაცხადა მიტინგზე გამოსულმა შრი ლანკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, შრი ლანკის პროფკავშირთა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ლ. პანდიტამ.

(საკდესი).

ჯ. ფორდის ვიზიტი დამთავრდა

ვაშინგტონი, (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა დამთავრა ვიზიტი ეკონომიკურ ახლო აღმოსავლეთში. ამერიკა-ჩინეთის მოლაპარაკების შემდეგ არავითარი კომუნიკე არ გამოქვეყნებულა. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა უკანასკნელ პრესკონფერენციაზე მოლაპარაკებას „კონსტრუქციული“ უწოდა. „ჩვენ — თქვა ჯ. ფორდმა, — ვიმსჯელეთ ჩვენს უთანხმოებებზე. ამასთანავე, ჩვენ აგრეთვე დავადასტურეთ, რომ არის დიდმნიშვნელოვანი პუნქტები, რომლებზეც ერთნაირი შეხედულებანი გვაქვს“. სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილემ დენ სიაო-პინმა, რომელიც განმარტა თუ რატომ არ მიიღეს საბოლოო კომუნიკეი, თქვა, რომ „ვიზიტის მნიშვნელობა გამოიხატება ბეჭდით“, და მისი სიტყვით, არა „ისეთი ზერელე ამბებით, როგორიც კომუნიკეა“.

ამერიკელი ჟურნალისტები ამ ფაქტს იმით ხსნიან, რომ შეერთებული შტატების პრეზიდენტი და ჩინელი ლიდერები „იმდენად დაშორდნენ ერთმანეთს დაძაბულობის შენელების პოლიტიკის დიდმნიშვნელოვან საკითხში, რომ ერთობლივი კომუნიკეს თაობაზე ვერც კი მორიგდნენო“.

ლაოსელი ხალხის გამარჯვება

ვიენტიანი, (საკდესი). 4 დეკემბერს ლაოსი სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადდა. ამის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო სახალხო წარმომადგენელთა ეროვნულმა კონგრესმა, რომელმაც მთელი ლაოსელი ხალხის ერთსულოვანი სურვილი გამოხატა. რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდა ლაოსის პატრიოტული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე სუფანუვონგი. იგი დაინიშნა აგრეთვე ლაოსის უმაღლესი ეროვნული კრების თავმჯდომარედ.

შეიქმნა ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, რომელშიც 38 კაცია. მას მეთაურობს ლაოსის პატრიოტული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის გენერალური მდივანი კეისონ ფომვიჰანი. პრემიერ-მინისტრის მოადგილეთა პოსტები დაიკავეს სახალხო რევოლუციური პარტიის თავლსაჩინო მოღვაწეებმა ნუმეკ ფუმსავანმა, ფუმი ვონგვიჩიტმა, ფხუნ სიპასერმა და კამტაი სიტაფონმა. ფხუნ სიპასერი არის აგრეთვე საგარეო საქმეთა მინისტრი, ხოლო კამტაი სიტადონი — თავდაცვის მინისტრი და ლაოსის სახალხო განმათავისუფლებელი არმიის სარდალი. ინფორმაციის მინისტრი გახდა სისანა სისანი.

ლაოსის ყოფილი მეფე სავანგ ვატჰანა, რომელიც გადადგა ტახტიდან, დანიშნულია პრეზიდენტის უმაღლეს მრჩეველად, ხოლო ყოფილი პრემიერ-მინისტრი სუვანა ფუმა—პრემიერ მინისტრის მრჩეველად.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ „გმირი დედის“ საპატიო წოდება და გადაეცეთ „გმირი დედის“ ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები, დედებს, რომელებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. **გოჯუან** დიანა ლევარსის ასულს — დიასახლისს, აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონის სოფელი კუტოლი.
2. **ფანცქალაშვილს** სირანა ივანეს ასულს — დიასახლისს, დუშეთის რაიონის სოფელი დავათი.
3. **სიმნიხინას** მარიამ ივანეს ასულს — აფხაზეთის ასსრ სოხუმის რაიონის ოდანოვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეს.
4. **სინას** დურსუნ უზის — ბოლნისის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეს.
5. **ურუსოვა-მირზოევას** კუბარ ფატეს ასულს — დიასახლისს, ქალაქი თბილისი.
6. **ცარიტოვას** ქეთო კუჯიას ასულს — ბორჯომის რაიონის გუჯარეთის საბჭოთა მეურნეობის მუშას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. კოტდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1975 წლის 25 ნოემბერი.

1975—ქალის საერთაშორისო წელი

ქალის ღირსება

ვერა, ვერ ჩაქრობთ საკუთარ სულში ქალის სიყვარულით ანთებულ კანდელს. ადამიანის სულს ყველა ასაკში სჭირდება ეს მოცაგე შუქი და ბგნის გამკეთალავი ეარსკვლავი.

უნდა, უნდოდ სჭირდება დედა-შვილური სიყვარულის ოშვიათი მადლი კეთილგონიერი, ზნეშალალი პიროვნების აღზრდას, რადგან დედის არსებაში ერთნაირად ღუღს, ერთნაირად ბორგავს უნაზესი გრძნობა და მოვალეობის დიდი შეგნება, ზოგადსაკაცობრიო და პიროვნული განცდები.

ღმერთმა გვაშოროს, შვილო ჩემო, იმა სირცხვილსა,
რომ შენ შინ იჯდე, ოდეს სხვანი ეხოცებიან,
ვინც მამულისთვის არ იმეტებს თავისა შვილსა,
მას შვილი თვისი, ჩემო კარგო, არ ჰყვარებია“...

ეს ქართველის დედის ხმაა, რომელსაც ეპასუხება ბრძოლის ველზე გმირულად დაღუპული შვილის მწუხარებითა და ნუგეშით აღმომხდარი, ინგილო ქალის შეუპოვარი ძახილი:

„...მე კიდევ მყავს ოთხი ვაჟი და ორი ქალი. მე მათ დავზრდი უფრო უკეთეს, უფრო გულმხურვალე მამულიშვილებად და ისინი სხვა ქართველი დედების აღზრდილ მამულიშვილებთან ერთად გადაუხდიან მტერს სამაგეროს და ჩვენს საქართველოს დაიყენებენ ბედნიერ გზაზე“.

ასე ღრმა, ძლიერი ფესვებით არის გადაკვანძული მამულის ეშხი და შვილის ტრფობა დედის მღელვარე გულში.

„მაგის მეტს აღარ გიტირებ,
შენ არ ხარ სატირალია:
ერთ შვილ ხო მაინც გავზარდე,
ვეფხვებთან მეომარია“.

გადმოგვცემს ხალხი მხეცის მიერ უწყალოდ დაჭრილი, მაგრამ ვაჟკაცურად მკვდარი ერთადერთი შვილის ცხედართან მომტირალი დედის გულისთქმას.

ასევე. მოიტანა ხალხმა ჩვენამდე ლეგენდები, ბალადები, სიმღერები სხვა, არა ნაკლებ ზეაწეული, ზეატანილი გრძნობის შესახებ, რომელიც მზედ აშუქებულა, ალისფრად დაფენილა ადამიანის ცხოვრების გზაზე.

„მე ორჯერ უფრო მუყაითი გავხ	ი სიყვარულისაგან“ — ეს სიტყვები ალექსანდრე გრიბოედოვს ეკუთვნის, რომელიც ნინო ჭავჭავაძის ყმაწვილური განცდებითა და გულისძგერით შთაგონებული უკვდავებაა.ეგ მიაყვებოდა ქალთა მსველელობას.

ცეცხლი ღადარი, რომელიც განუშორებლად ატარა და საფლავში თან ჩაიტანა თვალწარმტაცმა ნინო ფურცელაძემ, დიდი ფშველის მიერ უარყოფილი სიყვარულის ღრმა ერთგულება იყო, სასოების, კერპის თაყვანისცემით გამოწვეული სევდიანი სიხარული იყო... ადამიანები ახლაც მოწიწებითა და თაყვანისცემით იხსენებენ ქალწულის გულის ჯერაც ჩაუმქრალ ნაღვერდალს:

„...შენ კი საფლავ დაკარგულო,
კეჭნისხევის ძირას,
ვაჟას სურათს ჩახუტებულს
თვალცრემლიანს გძინავს.
გძინავს მძიმედ და ჩურჩულებ
უკვდავების რომანს,
რა ყოფილა სიყვარული!
ვერ წალეკა დრომაც“.

სულ ერთია ვინ არის ტრფიალს ზიარებული, არგენტინელი, იაპონელი, რუსი თუ ინდოელი, ქალი ქალია და მისი სიყვარული მუდამ ქალურია და განუმეორებელი.

განუმეორებელია ქართველი ხათუნა მინდელის გაუბზარავი გულის ძახილი, რომელმაც ქალი ობლების დაზრდისა და პირთა ომენით ქმრის ფუძეზე ცხოვრების ძნელად სავალ გზას გაუყენა. მოვალეობისა და სინდისისადმი ერთგულება, განცდათა ქარტეხილის უშიშრად დამორჩილება მორალური გმირობაა, რომელითაც ხათუნა მინდელმა ნათელი დაადგა მამულის დაცვაში ჩამუხლებულ ვაჟკაცს.

ადამიანთა ფაქიზი ურთიერთობის ნიუანსებში ღრმად გარკვეულნი დაბეჯითებით ამბობენ, თუ ქალმა გიმეგობრა ენდე და დაეყრდენი... რაც არ უნდა მძიმე იყოს სატარებლად ამ წმინდა ურთიერთობით დაკისრებული ტვირთი, იატანს და გაიტანს, არ გიმტყუნებს, არ გიღალატებსო.

ასმათის, ტარიელისა და ავთანდილის ურთიერთმახლობლობა მეგობრობის, სულგრძელობის, კეთილშობილების ამ უწმინდეს პრინციპებს ექვემდებარება და ადამიანური მოვალეობის უსპეტაკეს გრძნობამდეა ამაღლებული.

შემთხვევით როდია „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“. ნათქვამია „ვეფხისტყაოსანში“.

...„შენ იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ. — არ დაიჯერებ, მაიკო! სიცოცხლე მომძულებია „მდენი მარტობით“... უზიარებდა სულით ობოლობას ტატო ბარათაშვილი თავის მეგობარს — მაიკო ორბელიანს, რომელიც საკუთარ ტკივილივით განიცდიდა ვაჟკაცის სევდასა და ნაღველს.

ასე იყო და ასე ექნება: სანამ ქალი ცოცხლობს, მას თან ახლავს სიყვარულის ძლიერი ძალა. მისი გული მუდამ ახალგაზრდული სიყვარულით არის ანთებული. ამიტომ ქალი ულამაზოა, ამიტომ არ უყვარს ქალს თავისი ასაკოვნების წინა პლანზე წამოწევა. ამიტომ უწოდებს თავის ვაჟკაცს ბავშვს, ბავშვივით ეალერსება, ამიტომ უდგას გვერდში მხნედ თავის უღელის ცალს. ეს აგრნია მხოლოდ ქალთან ერთად ქრება...

ქალის მოსიყვარულე გული ერთი მთლიანი და გაუბზარავია. ამავდროს ქალი გარეთ, სიზოგადოებში ისევე აჩუქურთმებს ხელით ნასაქმარს, გონის ნამოქმედარს, როგორც შინ — შვილის სულს, ოჯახის წევრთა შინაგან სამყაროსა და ბუნებას.

— გაქვთ თუ არა თქვენ ოჯახი? — ჰკითხეს ერთხელ მოსკოველ ფეიქარ ქალს.

— მე დიდი ოჯახი მაქვს, რომელიც 28 დაზგისა და 2 შვილისაგან შედგება — ღიმილით უპასუხა ქალმა.

როცა საქართველოში ლიტერატურის დღეების მონაწილე მწერალმა აგნია ბარტომ უთხრა მეჩიე ქალს, „თქვენ ალბათ ერთი სული გაქვთ, როდის შექმნიან უფრო გაუმჯობესებულ მანქანებს, რომლებიც შეცვლიან თქვენს შრომასო“, იგი დაფიქრდა და მიუგო:

— მანქანა ისე ვერ იგრძნობს, როგორც ქალის ხელი გრძნობს ჩაის ნაზ დუღს.

— ჭეშმარიტად პოეტური დამოკიდებულებაა თავისი ძნელი შრომისადმი! — თქვა ალტ-ცებულმა მწერალმა.

ჭეშმარიტად სხვა გემო აქვს, სხვა მომზადებელობა და ლაზათი ქალის ნაამაგარს, ქალის ნასაქმარს.

წელიწადის ყველა დღე ქალისაა. რადგან ყველაფერი, რაც არსებობს ადამიანის ხელქმნილი, მაინც ქალისაგან მომდინარეობს, მაინც ქალი საწყისი და დასაბამი.

მაშ, რად მიაკუთვნეს ამ ერთ წელიწადს ქალის სახელი, მარტო ერთი დღე — 8 მარტი რატომ ითვლება ქალთა ზეიმად და დღესასწაულად?

იმად, რომ თავი მოვუყაროთ, წარმოვაჩინოთ, უფრო მეტი პატივი ვცეთ, უფრო ფართო გზა მივცეთ მთელი პლანეტის ყველა ქალის უდიდეს ღირსებას:

დედა-შვილობაში,
ტოლ-სწორობაში,
ჯაფა-გარჯაში

ჩაწნულ-ჩაქსოვილ, უძირო და უკიდე-განო სიყვარულს!...

თინა ზარგინავა.

ს. ყაუხჩიშვილის დაბადების მე-80 წლისთავის გამო



სასიქადულო მეცნიერი

გამოჩენილ მეცნიერსა და მოღვაწეს, კლასიკური ფილოლოგიისა და ბიზანტინოლოგიის ქართული სკოლის ფუძემდებელს, აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილს დაბადების 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 55 წელი შეუსრულდა.

სიმონ ყაუხჩიშვილი ქართული მეცნიერების აღორძინებისა და განვითარებისათვის მებრძოლ მოღვაწეთა იმ პლეადას ეკუთვნის, რომელიც თბილისის უნივერსიტეტის დაარსების პირველივე დღიდან უანგაროდ და დაუცხრომელი მზნებარებით ემსახურებოდა ეროვნული კულტურის დაცვის, შესწავლისა და აღზევების საქმეს.

მრავალი ძველი და ახალი ენის ცოდნა, ფართო ერუდიცია, ოლიმპიური სიდინჯე, საკვლევ პრობლემაში ღრმად ჩახედვის უნარი და შრომის უსაზღვრო სიყვარული — აი რა ახასიათებს სიმონ ყაუხჩიშვილს.

აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე წერდა: „ამ ტიპის სპეციალისტი ხშირად არ გვხვდება არც ჩვენს, საბჭოურს, არც საზღვარგარეთულ სინამდვილეშიო“.

ს. ყაუხჩიშვილმა თავისთავად დიდი შემეცნებითი დირებულების ელინური ფილოლოგია საქართველოში ეროვნული მნიშვნელობის სამეცნიერო დარგად აქცია, რომლის მიზანია ქართველოლოგიის უაღრესად საყურადღებო პრობლემების ნათელყოფა, ქართული ბერძნულ-ბიზანტიური კულტურული ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის შესწავლა და ამ ისტორიის ჯერ კიდევ ამოუკითხავი ფურცლების გამომზეურება. მისმა ენერგიულმა სამეცნიერო და პედაგოგიურმა მოღვაწეობამ თბილისი კლასიკური ფილოლოგიისა და ბიზანტინოლოგიის საქმეზე აღიარებულ ცენტრად აქცია.

სიმონ გიორგის-ძე ყაუხჩიშვილი დაიბადა 1895 წელს 14 ოქტომბერს ჭუთაისში, დაწყებითი განათლება მიიღო ცნობილი ქართველი პედაგოგის იოსებ ოცხელის სკოლაში, ხოლო საშუალო — ჭუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, გიმნაზიის კურსის დამთავრებისთანავე, 1913 წელს მან სწავლა გააგრძელა პეტერბურგის უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის განყოფილებაზე. აქ სიმონ ყაუხჩიშვილს ლის მასწავლებლები იყვნენ გამოჩენილი რუსი მეცნიერები: თ. ზელინსკი, მ. როსტოვცევი, ს. ჟებელეიოვი, ა. ვასილიევი და ცნობილი ქართველი ელინისტი გრიგოლ წერეთელი. ს. ყაუხჩიშვილი პარალელურად აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზეც სწავლობდა და ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ქართულ და სომხურ ფილოლოგიას ეუფლებოდა. მან ინთავთვეგ მიიპყრო ყურადღება სამეცნიერო კვლევა-ძიების უნარით და იმ არაჩვეულებრივი შრომისმოყვარეობით, რომელიც სახელოვან მეცნიერს აკმაფდ მოჰყვა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1917 წელს ს. ყაუხჩიშვილმა მუშაობა დაიწყო თბილისის ქალთა სამასწავლებლო სემინარიაში ანტიკური ქვეყნების ისტორიისა და საქართველოს ისტორიის მასწავლებლად.

1918 წელს სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანის ივანე ჯავახიშვილის წარდგენით ს. ყაუხჩიშვილი ახლად დაარსებულ ქართულ უნივერსიტეტში დატოვეს საპროფესორო მოღვაწეობისათვის მოსამზადებლად ბერძნულ-ბიზანტიური ფილოლოგიის დარგში.

ახალგაზრდა სპეციალისტი მხარში ამოუდგა თავის მასწავლებელს ივანე ჯავახიშვილსა და გრიგოლ წერეთელს და მტკიცედ გადაწყვიტა კლასიკური ფილოლოგია და ბიზანტინოლოგია ქართული კულტურის ისტორიის კვლევის სამსახურში ჩაეყენებინა.

1920 წელს ს. ყაუხჩიშვილმა გამოაქვეყნა პირველი კაპიტალური ნაშრომი — „ხრონოგრაფი გიორგი მონაზონისა“, რომელშიც წარმოადგინა მე-9 საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის გიორგი ამარტოლის თხზულების არსენ იყალთოელისეული ქართული თარგმანის ოთხი ხელნაწერის საფუძველზე დადგენილი ტექსტი.

ამ ნაშრომის გამოქვეყნებისთანავე ს. ყაუხჩიშვილი თბილისის უნივერსიტეტმა სამეცნიერო მუშაობის გასაღრმავებლად საზღვარგარეთ—საბერძნეთსა და გერმანიაში მიავლინა. ათენში ს. ყაუხჩიშვილი მუშაობდა ქართველოლოგიისათვის უაღრესად საყურადღებო ბერძნულ ხელნაწერებზე. პარალელურად სწავლობდა ახალ ბერძნულ ენას და ელინური ნივთიერი კულტურის ძეგლებს. 1921-1923 წლებში ს. ყაუხჩიშვილი ბერლინის უნივერსიტეტში ისმენს კლასიკური ფილოლოგიისა და ბიზანტინოლოგიის ცნობილი სპეციალისტების ლექციებს.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე თბილისის უნივერსიტეტმა ს. ყაუხჩიშვილი მიიწვია ლექტორად ბერძნულ-ლათინურ ფილოლოგიაში. 1925 წელს დამატებით მინდეს საქართველოს შესახებ არსებული ანტიკური ავტორთა თხზულებების ინტერპრეტაცია, ხოლო შემდეგ — სალექციო კურსის კითხვა ბიზანტიის ისტორიაში.

ამ პერიოდში ს. ყაუხჩიშვილმა მნიშვნელოვანი გამოკვლევები გამოაქვეყნა: „შატბერდის კრებულის სასწავლო წიგნი“, „ტურინოს კომპილაციისათვის“, „კორიდეთის ოთხთავის ქართული მინაწერების დათარიღებისათვის“, „ბერძნული მამაკაცთა სახელების გადმოცემისათვის ქართულში“ და სხვა.

უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ 1930 წელს ს. ყაუხჩიშვილი პროფესორად აირჩია ბერძნულ-ბიზანტიური ფილოლოგიის დარგში.

ს. ყაუხჩიშვილი წლების მანძილზე ეწევა პასუხსაგებ სამეცნიერო-ადმინისტრაციულ მოღვაწეობას. სხვადასხვა დროს იყო თბილისის უნივერსიტეტის „მოამბის“ რედაქტორის თანამშემწე, „საქართველოს სასტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოების“ თავმჯდომარე, თბილისის უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის მდივანი, ბიზანტინოლოგიის კათედრის გამგე. დროდადრო შემოერთებული ქვრდა ძველი ისტორიის და შუა საუკუნეთა ისტორიის კათედრები, ხელმძღვანელობდა თბილისის უნივერსიტეტში მისი თაოსნობით აღორძინებულ კლასიკური ფილოლოგიის კათედრას. იყო თბილისის უნივერსიტეტის „შრომების“ ფაქტიური ხელმძღვანელი, ქართული ენის ნორმათა დამდგენი კომისიის წევრი.

მეცნიერი მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ბიზანტინოლოგიის სექტორს, ხოლო აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ჩამოყალიბების შემდეგ სათავეში უდგას ამ ინსტიტუტის ბიზანტინოლოგიის განყოფილებას.

ს. ყაუხჩიშვილი ფართო დიაპაზონის მეცნიერი მკვლევარია. მისი მრავალრიცხოვანი გამოკვლევების ყურადღების ცენტრში მარტო ბერძნულ-ბიზანტიური ენა და მწერლობა კი არ არის, არამედ ქართული ფილოლოგია და საისტორიო წყაროთმცოდნეობაც. ქართველოლოგიაში არ არის დარგი, ს. ყაუხჩიშვილს თავისი საგრძნობი წვლილი რომ არ შეეტანოს.

ღვაწლმოსილი მეცნიერის მრავალრიცხოვანი შრომების ძირითადი თემატიკა შემდეგია: კრიტიკა, ინტერპრეტაცია და პუბლიკაცია იმ ძეგლებისა, რომლებიც ბიზანტიური ტექსტებიდან მომდინარეობს, საქართველოს ისტორია, ბიზანტიის ისტორიის საკითხები, ბერძნული პალეოგრაფია და ეპიგრაფიკა, ენათმეცნიერების პრობლემები, ლექსიკოლოგია, ქართული ლიტერატურის ისტორია, ბერძნული და რომაული მწერლობა.

ს. ყაუხჩიშვილის შრომათაგან აღსანიშნავია: გიორგი ამარტოლის „ქრონოგრაფიის“ ტექსტი და გამოკვლევა; იოანე პეტრიწის შრომების ორი ტომი (მე-2 ტომი გამოცემულია აკად. შ. ნუცუბიძესთან ერთად), პეტრიწონის „ტიპიკონის“ ბერძნული ტექსტი პარალელური ქართული თარგმანითა და გამოკვლევით, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან“, ბოლუენტური რვატომიანი კრებული, „გეოგრაფიკა“, რომელშიც თავმოყრილი და ინტერპრეტირებულია ბიზანტიელ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ, „ბერძნული ლიტერატურის ისტორია“ (ორ ტომად), „ბიზანტიის ლიტერატურის ისტორია“, ბერძნულ-ქართული ლექსიკონი, ლათინურ-ქართული ლექსიკონი და სხვა.

1955-1973 წლებში, დიდი შრომისა და რედაქციის შედეგად, ს. ყაუხჩიშვილმა გამოაქვეყნა „ქართლის ცხოვრების“ 1, 2 და 4 ტომები, ხოლო 3 გამოსაცემად გადასცა.

„ქართლის ცხოვრების“ გამოცემით ჩვენს საისტორიო წყაროთმცოდნეობას მტკიცე საფუძველი ჩაეყარა.

ინტენსიურ სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად ს. ყაუხჩიშვილი დიდ პედაგოგიურ მუშაობასაც ეწევა. იგი ახალგაზრდობის გულისხმიერი აღმზრდელია.

დიდია ს. ყაუხჩიშვილის დამსახურება სამეცნიერო კადრების მომზადებაში.

ს. ყაუხჩიშვილისა და მისი შექმნილი სკოლის აღიარებაა ის ფაქტი, რომ მოკლე ხნის მანძილზე (1965-1975 წლებში) თბილისში გაიმართა საკავშირო მასშტაბის სამი კონფერენცია კლასიკური ფილოლოგიისა და ბიზანტინოლოგიის დარგში.

სიმონ ყაუხჩიშვილი მეცნიერებისა და საზოგადოების წინაშე დამსახურებისათვის 1950 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1969 წელს ამ აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს. მინიჭებული აქვს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით.

ჩვენი სამეცნიერო საზოგადოება სტუდენტ ახალგაზრდობასთან ერთად გულწრფელ სიყვარულსა და პატივისცემას გამოხატავს აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის მიმართ იმ დიდი დამსახურებისათვის, რომელიც მას მეცნიერებისა და ხალხის წინაშე მიუძღვის.

აკ. ურუშაძე,
თბილისის უნივერსიტეტის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლენინური ფილოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი.

ლ. სანიკიძე,
პროფესორი.

• • •

ხურათზე: სიმონ ყაუხჩიშვილი.

ფოტო: ბ. ბინზბურგის ფოტო.

ივანე ჯავახიშვილის უმცროსი მეგობარი

ივანე ჯავახიშვილი ხშირად გამოხატავდა კმაყოფილებას სიმონ ყაუხჩიშვილის გადაწყვეტილების გამო — დაუფლებოდა ბერძნულ-ლათინურ-ენოვან ფილოლოგიას და ისტორიას, რაც საქართველოს წარსულის მეცნიერულად შესწავლისათვის უკიდურესად აუცილებელი იყო

ქარლო ქალაქე

ქართველი საბჭოთა პოეტები შემოქმედებითად ავითარებენ და აგრძელებენ მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიისათვის ყოველთვის მახლობელსა და მარად ცოცხალ თემას — სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის თემას. საბჭოთა პატრიოტიზმი დღევანდელი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი მთავარი მოტივია.

ქართველი ხალხის გმირული შრომისა და ბრძოლის ასახვა, ხალხთან თანადგომის პოზიცია ყველა ნამდვილი მწერლის პოზიციაა.

ახლა, როცა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები წარმატებით ამთავრებენ მეცხრე ხუთწლედს და იღვწიან, რათა ხელდამშვენებულნი შეხვდნენ დიდ ისტორიულ მოვლენას, პარტიის XXV ყრილობას — სხვა პოზიცია ჭეშმარიტი შემოქმედისათვის არ არსებობს.

საბჭოთა საქართველოს ახალი აღმშენებლობითი შრომით შთაგონებულმა ჩვენმა ცნობილმა პოეტმა კარლო კალაძემ შექმნა ლექსების ახალი ციკლი. დღეს „კომუნისტის“ მკითხველები ამ პოეტური ციკლის რამდენიმე ფურცელს გაეცნობიან. ეს არის, ასე ვთქვათ, პირველი თავი მშობლიური პარტიის მომავალი ყრილობისადმი ქართველი მწერლების პატაკისა.

თენგიზ ბუაჩიძე,
საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი.

მსურს ყველგან ვიყო

მსურს, ყველგან, ყოველთვის ვიყო და, ვიჩქარი.
გამოლეთ გზა-ვიწრო, ხეობა, ციხეარი,
დამხვდით იქ
ფრთებასხმულ არაგვის ზვირთებად —
და ჩემი სიჩქარე არ გაგიკვირდებათ!
არაგვი რომ არა, არავინ არ ახსნის
სილაღე რად მიყვარს მტკვრისა და ალაზნის,
რად მომდევს
რიონის ავკარგი დიდებად,
რომ გითხრათ — გამიგებთ, არ გაგიკვირდებათ!
ჰეი, თქვენც თვალებზრდღვიალა ჰეხებო —
ცით უკეთესებზე მზით უკეთესებო,
ათახი გვირაბი
თუ აგიგრგვინდებათ —
ენგურიც რომ იყოთ — ნუ გაგიკვირდებათ!
მსურს, ყველგან, ყოველთვის ვიყო და ვიჩქარი,
ვით მზე და ვით ელვა, ვით წვიმა, ვით ქარი,
დარდიც კი

რომ დამხვდეს აქა-იქ ბინდებად,
უმალვე დავფლითო — ნუ გაგიკვირდებათ!
მივყვები გუთნეულს, მივყვები ღირღიტებს,
და ხეთა ტოტებზე ფრთხიალა წვრილ-ჩიტებს
თუ ჩავთვლი
ალუბლის და ვაშლის კვირტებად —
ვარ ქალაქელი და... ნუ გაგიკვირდებათ!
თქვენც, როცა მილიმით, თქვენც,
ლამისმთვლეთო,
რქაწითლის, კაჭიჭის და ციცქის მტკვნეთო,
ბუტბუტები
სიმაჯრე რომ დაგიღვინდებათ —
უცებ თუ გეხტუმროთ — ნუ გაგიკვირდებათ!
ომებით დაქცეულ დარბაზთა ჭერებო,
ჩემთვისაც უცნობო ჩუქურთმისმჭრელებო,
მიიღეთ
ეს ლექსი ფიც-ვერცხლად, ფიცდებად —
თქვენს შემდეგ მეცა ვარ... ნუ გაგიკვირდებათ!

ფიქრი ციხპირას

ეხაა დიდი რიონის ველი,
ეხაა: გახვრა ხიშორე ბნელი —
თვალთგახელვიდან — თვალთგახელვამდე!

ო, ამ ორერას, დილ-დილობით, ამ ოდელიას,
მუხათა ზღაპრულ ხელმწიფობას, ჩრდილნარს,
ლელიანს —
ალბათ აღვწერდი უკეთ უფრო, რომ არ
ვდელავდე.

ხელმარცხნივ, ხედავთ? — ვანის მთებია,
ამოვა მზე და ცას მისწვდებიან
მათი კალთები ისევ და ისევ!

ხელმარჯვნივ: ხვამლი. ჭუთაისი. თეთრი სვანეთი.
ო, როგორ უყვართ, როგორ უყვართ, მათ
ერთმანეთი!
დელიავ, ჩემო ალტაცებავ და სიხალიხევ...

დელიავ, აბა, მიშველე: — შველი
ბუკს დაუფრთხია. სახროლზე ველი
აწ უკვე ჩემგან ვერხად ვერ წავა,

ხომ ჩემიანთა დიდებაა დღესაც ეს ველი,
აქ ვჭედდი ოქროს. აქ ვიყავი ოქრო-მთესველი,
ველი მოსავლს და იმედის კაცი მეცა ვარ!

ეს არის დიდი რიონის ველი
და მისი ასიათასი წელი
თვალთგახელვიდან — თვალთგახელვამდე!

აწ, იმავ კოლხთა წელთაღრიცხვა განა
განსხვავდა:
წყალს მოაქვს ოქრო-ნაპერწკლები კვლავაც
ვარსკვლავთა,
ვერც მოახერხებს: იდგე ცეცხლში და არ
ელავდე!

და სწორედ ახლა, ცად როცა მთვარეს
შუქ-სარკმელებით მიუთვალთვალეს —
ჩვენს კვირაღლეზე ჩვენც გვიფიქრია! —

სადღაც შავი ქვაც გვიშავებს წყალს, სადღაც
შაორი,
სადღაც ღამის ცვლამ დაამთავრა სამუშაონი
და გადაღლილი წყლის ტალღები თავს აქ
იყრიან!

გადმოიხედავს მზე საიდანღაც,
რა ლამაზია რიონის ტალღაც,
რა ლამაზია, რა ღირსეული!

და კვლავაც ჩვენდა საიდუმლოდ, მდინარის
ხარკე
ცალკე ცის ღრუბლებს ჩაიბატავს და კლდეებს
ცალკე —
გასაოცარი დამშვიდებით ზღვასმიღწეული!

ჰიმნი ენგურს

შენი ძალღონე, ენგურო, მწამს ახე როგორც
მწამდა.
კვლავაც არ იუხერხულო, ცა გადმოლახე
მთა-მთა!

გულს ვერ ვიობებ სიშორით, მინდა აქ
შევხვდე შენს გულს,
აქ, სადაც გადავიხროლით მთებიდან მთებში
ენგურს...

ათასი წელი ვუცდიდი — მენახა მოსვლა შენი
და აბა, შენი ზუგდიდი — შენი ცის დასაბჯენი!

უცდის უბრალო წამიც კი შენს გამოხდომას
ვეფხურს,
რა ლამაზი ხარ, რა ფიცხი... თვალებს გიკოცნი
ენგურს!

ცის კაცს, ჩვენს დარეჯანის ძეს ვისი ცეცხლი
აქვს, ვისი? —
სწრაფვაც ნაპერწკლად გადიქცეს, ცეცხლი
რად გვინდა ხვეისი!

წევს ღამე შავ-ბნელ დევივით, გასულა ყავლი
ღამის,
ფიქრიც ბნელ ნაფლეთებივით მივშალ-
მოშალოთ ღამის.

ეგ არის შენი ღრეობა, ეგ არის შენი ჭერი —
ფერხულმა შესძრას ხეობა, ლილეთ—ზეცის
ჭერი!

ენგურო, კლდეთა დიდებავ, ენგურო დღეთა
მგზავრო,
ხან ბნელში შეჯირითებავ, ხან შეფრქვეულო
ჯავრო,

დიდება შენს შუქს, შენს ქართულს, მწამხარ
კვლავ როგორც მწამდი,
შენს თვალთა ბრწყინვას შემართულს მივყავარ
ცოდან ცამდი!...

ამიხდა რაც კი ვინატრე და აწ მაცნე ვარ ამის:
თავს მადგას დიდი სინათლე ჩემი დღისა და
ღამის!

ცეცხლის გამძლეა მიწა, ქეთევან!

რიკოთს გადაველ თუ არა, უმალ გაიღო ცის
კარი!
ზღვაზე რომ ხადღაც მინახავს, შემომეგება
ის ქარი.

ის მკვირცხლი შეშრიალება იმ ტოტებგაშლილ
ხეების,
რომელთაც ახლავთ ღამილი შროშელი
მედოქეებიან...

გაუბაწრიათ ზღაპარი ცხენზე, ასკოკა ჭურივით,
ჭინჭილაც, იქვე, ფუჩეჩში ჩამძვრალა
კრიმანჭულივით.

ცხენი რომელი ვინატრო, უფრო ფეხმარდი
ვისა ჰყავს?
ყოველი კოხტა ბეჭობი ზედ შედგმულ
უნაგირსა ჰგავს.

ქვეშ კი წითური თოქალთო — წითური მიწის
ფენაა...
და ხევის წყალიც ხევდახევ ჭენებით
ჩამორბენაა.

აბა, სოფელი ძირულაც: მდელო, მდინარე,
ქარხანა, —
გულში რა ვიცი რა უდევს, რა ცეცხლმა
აახარხარა!

რას მპირდებიან, რა ვიცი, მიხი გიზგიზა
ბუხრები,
ვგრძნობ: ჩემი კერაც იქაა, და ჩემი
ბახამუხლები.

ამ ბუღში ახი მუშა დგას, ახი დაზგა და
ხარიხა.
და შენც ხომ ახი თვალი გაქვს, თუმცაღა
ერთი ქალი ხარ!

— ეჰეი, ქალო მაღალო, და ხელმართალო,
ქეთევან!
სიკეთე შენი არ ვაქო, აბა რა მოხიკეთე ვარ...
ალუმენებ მიწის ნაკვერჩხლებს, ნაკვერჩხლებს
ნაპერწკლიანებს,
და მაინც შენი ხმა-კალო გაბმულ სიმივით
წკრიალებს.

აგურს ენდობა აქაურს ფოლადის ყველა
მდნობელი:
ფეროს და რუსთავს, მეაბჯრედ მყავს ეს
პატარა სოფელი
ახე ვით ცხრამთამ, ცხრამუხამ, ხევის
ცხრაკარა მალარომ,
მეცხრე ხუთწლედის შეტევა ახლა შენ უნდა
მახარო!

ვაუკაცობაა დიახაც, ქეთევან, კაიქალობა,
მაგრამ გიტარის მაჯაზე ყურის დადებით
გალობა,

ნაკლებ არ გშვენის, ხანდახან მუხლებს რომ
ნოხზე მოკეცავ,
კაცს ეგონება, კუთვნილი დრო საოცნებოდ
მოგეცა...

შენ კი ზამბახი გეძახის, გულისაბა და გვირილა
და რომ გაიღო ჭიშკარი, არაა გასაკვირი-რა!

ქარხნის ეზოში მიუჩენ კუთხეს ველ-მინდვრის
ღიღილოს,
დე რკინის მესრის გადადმა ყაყაჩომ
გაიღიმილოს!

აბა, სად ალის გუგუნი და სად ველ-მინდვრის
ხიმწვანე, —
დრონი იცვალნენ, ქეთევან, შენივე ხელით
იცვალნენ!

იქნებ ვით ცეცხლის სიფიცხე — ხიმწვანეც
ლამაზ მდელოსი
მხოლოდ და მხოლოდ უჭრობი ეშხია
საქართველოსი!

საძერწი მიწის ხურვილმაც იქნებ აქ თავი
იჩინა —
მინდვრის ყვავილის ყელია მისი სურა და
ჭინჭილა!

ახე, ვით მიწა, იმედიც ცეცხლისგამძლეა,
ქეთევან,
მეც, ვით შროშა და ძირულა, ამ ცეცხლის
მოიმედე ვარ!

ცადამართული ანძები ღამით

დაე, ჩვენს ყოველ დღეს თან ახლდეს ჰიმნი,
დიდება,
უბადლო გულის ვაუკაცების, უბადლო მიწის!
და ჩანდეს ქედი ლომა ხარის—კლდეების ქედი
ახეგე როგორც შორეული დახაწვდომი ცის.
მივყვები აღმართს, მივყვები ხმას, მივყვები
ანძებს,
სანდოა, ვგრძნობ, ეს გამხნევება და
ხანდომისაც!...
სადღაც, გზადაგზა, შუა-მთაში, შუა-ღამეში
მე მიხარია საქართველოს ჰიმნი რომ ისმის!
ღრუბლები, ახლა ფრენოსნებმა ფრთები რომ
გაჰკრეს —
იმავ კლდეების სადროშოა, იმავე ლომიხის!
ოჯახში ახლა მშვიდობაა, შუქი უნთიათ
და კერის პირად სავარძელში ძველი ლომი ზის.
ღამის თორმეტი საათია, ვუსმენ ამ ანძებს,
ვუსმენ ამ ზეცას, ყველაფერი უკეთ რომ იცის,
სახლიც ამართლებს უნებლიედ, ლომთა
დიდებას —
სახლია მართლაც ლომაურის, მართლაც
ლომიძის.

ახლა ისინი ისვენებენ ჯაფით დაღლილნი...
და მიხარია საქართველოს ჰიმნი რომ ისმის!

გეოგრაფია ფორუმი

თბილისში იხსნება გეოგრაფიული საზოგადოების VI ყრილობა

8 დეკემბერს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში მუშაობას იწყებს საკავშირო გეოგრაფიული საზოგადოების VI ყრილობა. გეოგრაფთა ამ დიდ ფორუმში მონაწილეობის მისაღებად თბილისში საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკიდან ჩამოვლენ ცნობილი მეცნიერები, აგრეთვე ჩამოჭნავე დარგების სპეციალისტები და უცხოელი სტუმრები.

„კომუნისტის“ კორესპონდენტი შეხვდა ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტს, აკადემიკოს თეოფანე დავითაიას და მიმართა მას რამდენიმე კითხვით.

„კომუნისტის“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

ფორეულ გზებზე, სასპეკულაციოდ

რედაქციას უპასუხებს საქართველოს კომპარტიის ოჩამჩირის რაიკომი.

გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდა კრიტიკული წერილი — „ფორეულ გზებზე, სასპეკულაციოდ“. მასში მსჯელებული იყო ოჩამჩირის რაიონის ზოგიერთი მცხოვრები, რომლებსაც უნდოდათ სასპეკულაციოდ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ წაეღოთ მანდარინი. ამასთან დაკავშირებით პარტიის ოჩამჩირის რაიკომიდან გვატყობინებენ, რომ გაზეთში დაბეჭდილი კრიტიკული წერილის გამო იმსჯელა რაიკომის გაფართოებულმა ბიურომ. წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. რაიკომის ბიურომ კომუნისტისათვის შეუფერებელი საქციელისათვის პარტიის რიგებიდან გარიცხა სოფელ ლაბრის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ა. კვესიანი. მკაცრად დაისაჯნენ აგრეთვე ამავე კოლმეურნეობის წევრები გ. მელქონიანი, გ. კეციკიანი, ლ. კალიჯიანი და ვ. ხაჩატურიანი.

□

მანდარინი ლუდის ბოთლებად

რედაქციას უპასუხებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო

გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილ კრიტიკულ წერილში მსჯელებული იყო რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მანდარინის გატანის შესადეგობა. როგორც საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროდან გვაცნობეს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. აღნიშნული საკითხი განიხილეს სხოუმის № 5 ავტოტრესტის პარტიულ და სამეურნეო აქტივის კრებაზე. ავტოკოლონის უფროს ე. მელაძეს გამოეცხადა საყვედური, უფროსი დისპეტჩერი ე. ივანოვი განთავისუფლებულია თანამდებობიდან. მძღოლი ა. მარქარიანი მოხსნილია სამუშაოდან და მასალები მისი პასუხისგებაში მისაცემად საგამომძიებლო ორგანოებს გადაეცა.

ამ საკითხზე იმსჯელა საქართველოს კპ სოხუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ და უფროს დისპეტჩერს ე. ივანოვს გამოუცხადა სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით. პარტიული სასჯელი დაადო აგრეთვე პარტორგანიზაციის მდივანს ხარიტოპულოვს.



თბილისი. ხურათზე: ხანაპიროზე, გრიბოედოვის ძეგლთან.
ზ. დათუაშვილის ფოტო.

„ოქმუნისტის“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

ფორეულ გზებზე, სასპეკულაციოდ

რედაქციას უპასუხებს საქართველოს კომპარტიის ოჩამჩირის რაიკომი.

გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდა კრიტიკული წერილი — „ფორეულ გზებზე, სასპეკულაციოდ“. მასში მსჯელებული იყო ოჩამჩირის რაიონის ზოგიერთი მცხოვრები, რომლებსაც უნდოდათ სასპეკულაციოდ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ წაეღოთ. მანდარინი. ამასთან დაკავშირებით პარტიის ოჩამჩირის რაიკომიდან გვატყობინებენ, რომ გაზეთში დაბეჭდილი კრიტიკული წერილის გამო იმსჯელა რაიკომის გაფართოებულმა ბიურომ. წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. რაიკომის ბიურომ კომუნისტისათვის შეუფერებელი საქციელისათვის პარტიის რიგებიდან გარიცხა სოფელ ლაბრის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ა. კვესიანი. მკაცრად დაისაჯნენ აგრეთვე ამავე კოლმეურნეობის წევრები გ. მელქონიანი, გ. კეციკიანი, ლ. კალიჯიანი და ვ. ხაჩატურიანი.

□

მანდარინი ლუდის ბოთლებად

რედაქციას უპასუხებს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო

გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილ კრიტიკულ წერილში მსჯელებული იყო რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მანდარინის გატანის შესადეგობა. როგორც საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროდან გვაცნობეს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. აღნიშნული საკითხი განიხილეს სხოუმის № 5 ავტოტრესტის პარტიულ და სამეურნეო აქტივის კრებაზე. ავტოკოლონის უფროს ე. მელაძეს გამოეცხადა საყვედური, უფროსი დისპეტჩერი ე. ივანოვი განთავისუფლებულია თანამდებობიდან. მძღოლი ა. მარქარიანი მოხსნილია სამუშაოდან და მასალები მისი პასუხისგებაში მისაცემად საგამომძიებლო ორგანოებს გადაეცა.

ამ საკითხზე იმსჯელა საქართველოს კპ სოხუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ და უფროს დისპეტჩერს ე. ივანოვს გამოუცხადა სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით. პარტიული სასჯელი დაადო აგრეთვე პარტორგანიზაციის მდივანს ხარიტოპულოვს.

ბელგურთი

ვინ მოიპოვებს პრიზს?

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე ვაჟ ხელბურთელთა საერთაშორისო ტურნირის მონაწილეებს გუშინ უკანასკნელისწინა ტური ჰქონდათ.

ასპარეზობა დაიწყო პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული გუნდების შეხვედრით. ბრძოლა ოთხი ჭიულის სხვაობით მოიგეს პოლონელებმა — 24:20 (11:10).

საქართველოს ნაკრები გუშინ შეხვდა გათამაშების ლიდერს — სსრ კავშირის პირველ ნაკრებს.

მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, სტუმრების უპირატესობით მიმდინარეობდა, რომლებმაც გამარჯვეს ანგარიშით 25:14 (13:8).

იუგოსლავიისა და რუმინეთის ნაკრებთა მატჩი მოიგეს იუგოსლავიელებმა — 29:24 (14:13).

ფეხბურთი

„თერგი“, „დაუგავა“, „სტროიტელი“

5 დეკემბერს ყაზახეთის ქალაქ ჩიმკენტში გაიმართა ფეხბურთში პირველი ლიგის საგზურების მაძიებლების ექვსთა ფინალური ტურნირის უკანასკნელი სამი მატჩი.

ლენინგრადის „ზენიტი“ შეხვდა მაღაჩყალის „დინამოს“. ოთთაბრძოლა ფრედ — 3:3 დამთავრდა.

რიგის „დაუგავამ“, რომელსაც უკვე ეზრუნველყოფილი ჰქონდა პირველ ლიგაში მონაწილეობა, ასევე „მშვიდობიანად“ ითამაშა აშხაბადის „სტროიტელთან“ — 1:1.

გროზნოს „თერგმა“ შეძლო უზბეკეთის „იანგიერის“ დამარცხება — 1:0.

ამრიგად, „თერგი“, „დაუგავა“ (რვა-რვა ქულა) და „სტროიტელი“ (7 ქულა) გაისად ისპარეზებენ „ა“ კლასის პირველ ლიგაში.



ჭადრაკის ამგეგი

ყაიმებს არ ცნობენ

ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე ტურში გამართულ 5 პარტიიდან არცერთში არ აღნიშნულა ყაიმი. ეს მონაწილეთა დიდ საბრძოლო სულისკვეთებაზე მიუთითებს.

ვეტერანი კარაკაშნე სწორედ თბილისში ჩამოსვლის წინ ერთხელ კიდევ გახდა უნარეთის ჩემპიონი. იგი ჩინეთელად თამაშობდა შავებით იუგოსლავიის 1974 წლის ჩემპიონ პიპაილიჩთან. ლამაზი ფინალური სვლით კარაკაშნემ ფარხმალი დააყრევინა მეტოქეს.

რაიჭერი შეეცადა შეტევა დაეწყო კობაიძესთან, მაგრამ ქართველმა ოსტატმა იოლად მოიგერია მუქარა, საბოლოო ანგარიშით ზედმეტი ეტლი დარჩა და მოიგო. წარეთელი უტევდა ჯახბარიშვილს, მაგრამ შავები ჯარგად იცავდნენ თავს. ციტნოტში წარეთელი შეცდა და დამარცხდა.

ძლიერმა გერმანელმა ოსტატმა მიხელმა კუს საინტერესო მანევრი განახორციელა გურიელთან თამაშში. მწვავე შეხლა-შემოხლის შემდეგ გერმანელის ზედმეტი პაიკი დარჩა, მაგრამ გადადებულ პოზიციაში გურიელი ინარჩუნებს ყაიმის შესაძლებლობებს.

ბრძოლაში ჩაება ჩიბურდანიძე. მან 25-ე სვლაზე მოუგო იოსელიანს. ხუგაშვილ-ახმარუმოვას პარტია არ გამართულა.

გუშინ მესამე ტურში კობაიძემ მოუგო ჩიბურდანიძეს, წარეთელმა — პოლანოვას, პიპაილიჩმა — კახაბრიშვილს. გურიელს მოსაგები პოზიცია აქვს რაიჭერთან, ხუგაშვილს — მცირე უპირატესობა კარაკაშნესთან.

დღეს გაიმართება ბადადებული პარტიების დამთავრება.

ლიდერთა შეხვედრა

ერევანში საკავშირო ჩემპიონატის მეოთხე ტურში ახალგაზრდა დიდოსტატმა ვაჰანიანმა მოუგო დვორეცკის და ერთპირონული ლიდერი გახდა. რომანიშინმა დაამარცხა ბალაშოვი, გულკომ — დოროშკევიჩი. მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ტალისა და პოლუგაევსკის მნიშვნელოვანი პარტია ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

მეხუთე ტურში მეტად საინტერესო გამოდგა დიდოსტატ პოლუგაევსკის შეხვედრა გათამაშების ლიდერ ვაჰანიანთან. მწვავე ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვა პოლუგაევსკიმ. გულკომ ყაიმით დაამთავრა შუხვედრა კლოვანთან.

5 ტურის შემდეგ 3,5 ქულით პირველი ადგილზე ვადანიცვლა პოლუგაევსკიმ. 3 ქულა და ერთი, უკეთეს მდგომარეობაში გადადებული პარტია აქვს საერთაშორისო ოსტატ გულკოს, რომლის თამაში ახლა დიდ ყურადღებას იპყრობს. 3 ქულა აქვს ვაჰანიანს.

ჩვენი კინოაფიშა



ციხფერსაფირონიანი ბეჭედი

დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენს ეკრანებზე უჩვენებდნენ გერმანელი კინემატოგრაფისტების მიერ შექმნილ ხატელევიზიო ფილმებს ხერიას საერთო სათაურით: „პოლიციაში დარეკეთ — 110“.

ფილმი „ციფერსაფირონიანი ბეჭედიც“ ამ პოპულარულ ხერიას მიეკუთვნება.

გაქურდეს ხაიუველირო მაღაზია. ხაქმის გამოძიება უფროსი ლეიტენანტ ფუნქსსა და მის ერთგულ თანაშემწეს ვერა ანდტს დაევალათ. ხაქმის გაცნობისას პოლიციის თანამშრომლები დარწმუნდნენ, რომ ძარცვა „უმაღლეს პროფესიონალურ დონეზეა“ მიხდილი, მაგრამ საკვირველია, რომ გატეხილი სეიფიდან აქ წაუღიათ ოქრო და ძვირფასეულობა...

პარაშუტისტები

რამდენადაც საინტერესო, მიმხიბველი და რომანტიკულია პარაშუტისტის პროფესია, იმდენად სახიფათოა და სიფრთხილეს მოითხოვს.

კინოსურათი ოპერატორმა ჯორჯე ვოიკუმ გადაიღო, მთავარ როლებს ასრულებენ ცნობილი მსახიობები: ფლორინ პიერსიკი, დანა კომნინა და სილვიუ სტენესკუ.

„ბუქარესტი“ — რუმინეთი.

ტელევიზია

7 დეკემბერი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „მაღვიძარა“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — სამაგვარო კინოპროგრამა, 11.45— ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ადამიანი-ამფიბია“, 13.15 — „საჭადრაკო სკოლა“, 13.35 — „ჯადოსნური ეკრანი“, 13.55 — „კინოაფიშა“, 14.30 — „მუსიკალური კიოსკი“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.00 — „კინოს მოყვარულთათვის“, 16.15 — „მუსიკალური შეხვედრები“ (გამეორებით), 17.10 — კინოჟურნალი „სოფლის მეურნეობა № 5“ (ქართულ ენაზე), 17.30 — ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ციცინათელას“ კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.40 — „საერთაშორისო პანორამა“— ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.10 — გადაცემა „ვალდებულებათა მესრულეგა ფერხდება—მიზეზი?“, 18.40— კინოხარკვევი „იმედი“, 18.50 — აფხაზური ხალხური სიმღერები, 19.20 — ნახატი ფილმი, 19.40— „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.00 — კალათბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „დინამო“ (თბილისი) — „კალევი“ (ტარტუ), 21.30 — მღერის ნანი ბრეგვაძე — ფერადი გამოსახულებით, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან) 22.30 — „კინოს საამაყოში“, 23.20 — მხატვრულ ტანვარჯიშში ინტერვიზიის თასზე (გადმოცემა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ფერადი გამოსახულებით).

მეორე პროგრამით

18.05 — კინოდოკუმენტალისტის თვალით, 18.45 — სატელევიზიო სპექტაკლი „ვაქცევა“ (II სერია), 20.15 — დოკუმენტური ფილმები „იაპონური ჩანახატები“ და „ცხოვრების პირველი საქმე“, 21.15 — კონცერტი, 22.00 — მხატვრული ფილმი „რომანტიული დრო“.

რადიო

8 დეკემბერი

პირველი პროგრამა

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ვ. დოლიძე. ნაწყვეტები ოპერებიდან, 11.45 — საუბარი „რუსთაველი მეცამეტეტეტი ხუთწლედის ფინიშთან“, 12.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — ვ. გაბესკირიას ლექსები, 12.30 — უკრავს ლაიფციგის რადიოს საესტრადო ორკესტრი, 12.45 — პოპულარული ქართული სიმღერები და რომანსები, 13.30 — „ბაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 17.15 — მოსწავლეთათვის რადიოდადგმა „ჩექიელი“, 18.05 — ო. თაქთაქიშვილი — ვოკალური ციკლი, 18.45 — ინსტრუმენტულ ანსამბლ „როკოკოს“ კონცერტი, 19.00 — საუბარი „დაგეგმვას — მეცნიერული საფუძველი“, 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.20 — „სასიქადულო მამულიშვილები“ — ალ. ჯავახიშვილი, 20.47 — ნ. გუდიაშვილი. საფორტეპიანო კონცერტი „ჩემი სამშობლოს ველებზე“, 21.00 — „თეატრი მიკროფონთან“ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „ბერნარდ ალბას სახლი“, 23.30 — ქართული მუსიკა, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

თეატრები

7 დეკემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური —დონკი ხოტი (მე-5 აბონ. მე-3 წარმოდგენა), შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — უცხო კაცი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ტაციმასხარა (დილით), ჭრილობა (საღამოს), ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — (პრემიერა) ლამანჩელი, საქართველოს მინიატურების სახელმწიფო — ნაკრები (დილით), ზოგიერთის მზის დაბნელება საქართველოში (საღამოს).

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.

„კომუნისტი“ 380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს—99-93-03, 99-03-09. პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 98-22-98, მრეწველობის — 98-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 98-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 98-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 98-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 98-28-54.

ჩვენი მისამართი: ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЕ 12212 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14